

F-10-287

4

№ 179

345 (002) 155



საიღუმლო

ბ რ ე პ ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ.

1 აგვისტო 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 162



F10287

69. K 830

1918 წლის 20 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი:

1. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მოწყობის შესახებ;
2. სამხედრო ბეგრის და საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული ჯარის შევსების შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის მოწყობის შესახებ—საქართველოს დაუფუძნებელი კრების მიერ გაუქმებულ არიან და შათ ნაცვლათ მიღებულია შემდეგი კანონები:

1. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მოწყობის შესახებ;
2. სამხედრო ბეგრის და რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა შევსების შესახებ;
3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის მოწყობის შესახებ—სამივე შესაფერი შტატებით.

ამათ გარდა დამფუძნებელმა კრებამ მიიღო შემდეგი კანონები:

1. ხარისხების შესახებ დეტალების შეცვლისა;
2. საქართველოს რესპუბლიკის ოფიცრების, მონღლეების და ჯარის-საცემების ჯამაგირების შესახებ, ახალი შტატების მიხედვით;

3. ოფიცერთა და ჯარის-კაცთა ტანისამოსის ფორმის შესახებ;

4. მფრინავთა დამატებითი ჯამაგირით დაჯილდოვების შესახებ ჰაერში ფრენისთვის, თანახმა ამ კანონებასა, ვებრძანებ ეხლავე დაიწყოს არსებულ ნაწილების, შტატების, სამმართველოების და დაწესებულებათა ხელახლათ მოწყობა, ამასთანავე დარღვეულ შტატების ხელმძღვანელობით.

რისთვისაც:

I. სამხედრო სამინისტროს განყოფილებები:



საბრძოლო საქართველოს
არმიის მთავრობისა

1. ეხლა არსებული:
 - ა) გენერალური შტაბის განყოფილება
 - ბ) პირადი შედგენილობის "
 - გ) ტოპოგრაფიული "

გადაკეთდეს ახალი შტატების მიხედვით.



მეორე დივიზიონების სამმართველოები 1 ლი და 2-ე საარტილერიო ბრიგადებისა დაკეთდეს 3-ე არტილერიის დივიზიონის სამმართველოთ.

დანარჩენი დივიზიონები 1, 2 და სალაშქრო ბრიგადებისა გაუქმებულ იქნენ. მათი საქმეები და ქონება გადაეცეს აწერილობის თანახმად შესაფერ დივიზიონების სამმართველოებში.

11. საარტილო არტილერიის დივიზიონი უშუალოდ დამემორჩილოს მე.

IV. ცხენოსანი ჯარი.

12. რეორგანიზაციისათვის იხელმძღვანელონ სამხ. უწყ. ბრძანებით ამა ივლისის 14-დან № 145, შიგნით ცხენოსანი რაზმი უშუალოდ დაქვემორჩილოს მე.

V. სანაპირო ჯარი. *

13. ეხლა არსებული:

- 1 შავი ზღვის სანაპირო რაზმი გადაკეთდეს 1 სოხუმის და 2 ფოთის სანაპირო რაზმით.
- 2 მანგლისის " " " 3 ახალციხის და 5 სიღნაღის რაზმით.
- 3 დარიალის " " " 4 შულავერის და 6 დარიალის "

14. სანაპირო საწაფი რაზმი გაუქმდეს.

VI საინჟინერო სატეხნიკო ნაწილები.

15. 1 ცალკე მესანგრე გუნდი გაუქმდეს, გუნდის ქონება და პირადი შემადგენლობა გადაეცეს მესანგრე ათასეულს.

16. ზესტაფონის პიროქსალიონის საწყობი გაუქმდეს.

17. გადაკეთდეს ახალი შტატების მიხედვით ტფილისის საინჟინერო და პიროქსალიონის საწყობები.

18. საინჟინერო-სატეხნიკო სექციის საერთო ნაწილისგან მოეწყოს საინჟინერო-სატეხნიკო ჯარების სამმართველო.

VII. სამხედრო სასწავლო დაწესებულებანი.

19. სამხედრო სკოლა გადაკეთდეს ახალი შტატებს მიხედვით.

VIII სამხედრო აღრიცხვის ნაწილები.

20. არსებული სამხედრო ბეგრის უფროსების სამმართველოები გადაკეთდეს სამხედრო აღრიცხვის ნაწილებათ, ქვემოთ მოყვანილის თანახმად:

ა) ტფილისის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო—სამხედრო აღრიცხვის ნაწილებათ:

- 1. ტფილისის ქალაქის თვით მმართველობასთან.
- 2. ტფილისის სამაზრო საერობო გამგეობასთან
- 3. ბორჩალოს სამაზრო საერობო გამგეობასთან

ბ) თელავის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

- 4. თელავის სამაზრო საერობო გამგეობასთან
- 5. სიღნაღის " " "

გ) დუშეთის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

- 6. თიანეთის სამაზრო საერობო გამგეობასთან
- 7. დუშეთის " " "



დ) გორის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

8. გორის სამაზრო საერობო გამგეობასთან

ე) ქუთაისის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

9. ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობასთან

10. შორაპანის " " "

11. ლეჩხუმის " " "

12. რაჭის " " "

13. ოზურგეთის " " "

ვ) სენაკის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

14. სენაკის სამაზრო საერობო გამგეობასთან

15. ზუგდიდის " " "

ზ) სოხუმის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

16. სოხუმის სამაზრო საერობო გამგეობასთან

თ) ახალციხის სამხედრო ბეგრის უფროსის სამმართველო:

17. ახალციხის სამაზრო საერობო გამგეობასთან

18. ახალქალაქის " " "

ახლათ დანიშნულ სამხედრო აღწერის ნაწილების უფროსებმა უნდა მიიღონ შესაფერ სამხედრო ბეგრის უფროსებისაგან ყველა საქმეები, მასალები და მიწერ-მოწერა თავისი მაზრის შესახებ.

IX. სამხედრო სამკურნალო დაწესებულებანი:

21. ყველა სამხედრო სამკურნალო დაწესებულებანი გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

22. სამხედრო აფთიაქის მალაზია ჩაირიცხოს სამწერო განყოფილებაში.

23. სამხედრო სასანიტარო განყოფილებასთან მყოფი სასანიტარო ქონების საწყობი გადაეცეს სამხედრო აფთიაქის მალაზიას.

X დაბინავება:

24. ზემოთ მოყვანილი ახლათ შემდგარი ნაწილები და სამმართველოები დაბინავდნენ:

| | | | | | | |
|----|----|----------------------------------|---|---|---|-----------------|
| ა) | 1 | საარმიო ქვ. ბრიგადის სამმართველო | . | . | . | ქ. ქუთაისში |
| | 1 | ქვ. ათასეული | . | . | . | " " |
| | 2 | " " | . | . | . | " სოხუმში |
| | 3 | " " | . | . | . | " ფოთში |
| | 4 | " " | . | . | . | " ოზურგეთში |
| | 1 | არტილერიის დივიზიონი | . | . | . | " ქუთაისში |
| ბ) | 2 | საარმიო ქვ. ბრიგადის სამმართველო | . | . | . | " ტფილისში |
| | 5 | ქვ. ათასეული | . | . | . | " " |
| | 6 | " " | . | . | . | " თელავში |
| | 7 | " " | . | . | . | " ტფილისში |
| | 8 | " " | . | . | . | " თუქურშიშაში |
| | 2 | არტილერიის დივიზიონი | . | . | . | მუხრან-გომბორში |
| გ) | 3 | საარმიო ქვ. ბრიგადის სამმართველო | . | . | . | ქ. გორში |
| | 9 | ქვ. ათასეული | . | . | . | " ახალციხეში |
| | 10 | " " | . | . | . | " გორში |
| | 11 | " " | . | . | . | " ახალქალაქში |
| | 12 | " " | . | . | . | " მანგლისში |



- 3 არტილერიის დივიზიონი " გორში
 - დ) სადარაჯო ათასეული " ტფილისში
 - ე) საარმიო არტილერიის დივიზიონი " "
 - ვ) ცხენოსანი რაზმი " ალბულალში
-
- ზ) საინჟინერო-სატეხნიკო ჯარების სამმართველო } ტფილისში
 - მესანგრე ათასეული }
 - ავტო-ჯავშნოსანი გუნდი }
 - საავიაციო გუნდი }
 - რადიო-ტელეგრაფი }

- თ) სანაპირო ჯარის სამმართველო ქ. ტფილისში
- 1-ლი სოხუმის სანაპირო რაზმი " სოხუმში
- 2 ფოთის " " " ფოთში
- 3 ახალციხის " " " ახალციხეში
- 4 შულავერის " " " შულავერში
- 5 სიღნაღის " " " ტფილისში
- 6 დარიალის " " " დუშეთში

ი) სახმედრო აღრიცხვის ნაწილები უნდა იყვნენ შესაფერ საერობო გამგეობებთან.

25. ყველა გადაკეთებული გათავდეს ამა წლის 1-ლ სექტემბერამდის.

26. ბრიგადის და ნაწილების უფროსებმა დაჩქარებით შეუთანხმდნენ სახმეო განყოფილების სატეხნიკო სექციის უფროსს ხედრო ბინების შეკეთების შესახებ, სატეხნიკო სექციის უფროსმა კი თვითეულ შემთხვევაში მომახსენოს მე ამა თუ იმ ნაწილის ბინებას შეკეთების გათავების შესახებ, რის შემდეგაც ნაწილები გაიგზავნებან თავიანთ მუდმივ ბინებზე.

27. შტატს გარეშე დარჩენილი ოფიცრები, მონღოლები და მღვდლები გადაირიცხნონ შტატს გარეშე არა უგვიანეს ამა წლის 1 სექტემბრისა.

ამასთანავე მათი ყოველ თვიური დაკმაყოფილება სამი თვის განმავლობაში ძველი ჯამაგირით (ყოფილი ამა წლის 1 ივნისამდე) ევალება იმ ნაწილებს და დაწესებულებებს, საიდანაც ისინი იქნებიან დათხოვნილნი.

28. ეხლავე დაიწყოს ტანისამოსის ახალი ფორმის მომარაგება. ძველი ფორმის ტარების ნებას ვაძლევ მომავალი წლის 1-ლ იანვრამდე. ბ. ბ. ოჯარების ყურადღებას ვაქცევ მახედ, რომ სასურველია, რაც შეიძლება მალე გამოიკვლიონ არსებული სამხრეულები ახალი ნიმუშის სამხრეულებით.

29. ბრიგადის უფროსებმა და უშუალოთ ჩემდამი დაქვემდებარებული ნაწილების და დაწესებულებების უფროსებმა მომახსენონ მე ორ კვირაში ერთხელ დაწერილებით გადაკეთების და შედგენის მდგომარეობა, შედგენასთან დაკავშირებულ ყველა საქართვებათა მოხსენებებში ჩვენებით.

სახმედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

სამხედრო ძირითადი კანონებისა და შტატების კრებული

ს ა რ ჩ ე მ ი:

1. კანონი შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციისა.
2. კანონი შეიარაღებულ ძალთა მოწყობისა.
3. კანონი შეიარაღებულ ძალთა მპართველობის მოწყობისა.
4. კანონი სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შეესებისა.
5. კანონი სამხედრო პირთა ხარისხების შესახებ დებულებების შეცვლისა.
6. კანონი სამხედრო მფრინავთა ჰაერში ფრენვისთვის გასამრჯელოს მიცემისა.
7. კანონი ოფიცრების, სამხედრო მოხელეების და ჯარის-კაცების ჯამაგირებისა.
8. ოფიცერთა და ჯარის-კაცთა ტანისაშოსის ფორმა.
9. შტატები: № I-1) სამხედრო სამინისტროს კანცელარია.
 - 2) გენერალური შტაბის განყოფილება.
 - 3) სახეო განყოფილება.
 - 4) პირადი შედგენილობის განყოფილება.
 - 5) ტოპოგრაფიული განყოფილება.
 - 6) სამხედრო სკოლა
 - 7) ტფილისის სამხედრო ტაძარი.
- № II საარმიო ქვეითა ბრიგადის სამმართველო.
- № III ცალკე ქვეითა ათასეული.
- № IV არტილერიის დივიზიონის სამმართველო.
- № V ოთხ ზარბაზნიანი სამთო ბატარეა.
- № VI ოთხ ზარბაზნიანი მსუბუქი და გაუბიცის ბატარეა.
- № VII ოთხ ზარბაზნიანი მძიმე ბატარეა.
- № VIII ცვენოსანთა რაზმი:
- № IX საინჟინერო-სატეხნიკო ჯარი.
 1. საინჟინერო სატეხნიკო ჯართა უფროსის სამმართველო.
 2. შესანგრე (საპიორთა) ათასეული.
 3. ცალკე ავტომობილთა გუნდი.
 4. საავიაციო გუნდი.
 5. სამხედრო საავიაციო სკოლა.
 6. ცალკე რადიოტელეგრაფის გუნდი.
- № X სანაპირო ჯარი:
 1. სანაპირო ჯარის სამმართველო.
 2. ოთხ განყოფილებიანი რაზმი.
 3. სამ განყოფილებიანი რაზმი.
- № XI ტფილისის სადარაჯო ათასეული.
- № XII 1. სამხედრო ფლოტილიის სამმართველო.
 2. სამხედრო ფლოტილიის შედგენილება.

კ ა ნ ო ნ ი

შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციისა.

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ყოფილი პარლამენტის მიერ 1918 წლის მარტის 20 რიცხვს მიღებული კანონები: ა) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის მოწყობისა; ბ) შეიარაღებულ ძალთა მოწყობისა და გ) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შევსებისა (კან. კრებ. 1918 წ. კან. მე-41, 42 და 43).

2. გაუქმებულ იქნეს ტფილისის კომენდანტის სამმართველო, ტფილისის კომენდანტის მოვალეობა მიენდოს სადარაჯო ათასეულის უფროსს.

3. გაუქმდეს ყველა ცალკე რაზმი და სამხედრო დაწესებულება რომელიც არ არის აღნიშნული დამფუძნებელ კრების მიერ, მიღებულ სამხედრო კანონებთა დართულ შტატებში.

4. სამხედრო სასამართლო, საბრალმდებლო ზედამხედველობა და სამხედრო საპატიმრო დაექვემდებაროს იუსტიციის საინისტრის, ხოლო სამხედრო საავთანყოფოები გადაეცეს ერობის და ქალაქის თვითმმართველობას.

5. შტატს გარეთ დარჩენილი ოფიცრები და სამხედრო მოხელენი დაკმაყოფილებულ იქნან სამი თვის ჯამაგირით, იპის და მიხედვით თუ რამდენი ეძლეოდა მათ ახალი ჯამაგირის დაკანონებამდე.

1919 წ. ივლისის 31

დედანზედ ხელს აწერენ: საქ. დამ. კრ. თავმ. უფრ. აშხანავი ალ. ლომთათიძე

საქ. რესპუბ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვახტ. გავაქკორი

კ ა ნ ო ნ ი

შეიარაღებულ ძალთა მოწყობისა.

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას შეადგენს:

ა) მუდმივი ჯარი და სახალხო გვარდია.

ბ) ჯარს შეადგენს: სამი საარმიო ქვეითა ბრიგადა, სანაპირო ჯარი, ტფილისის სადარაჯო ათასეული, ერთი ცხენოსანი რაზმი, ერთი საარმიო არტილერიის დივიზიონი, ერთი მესანგრეთა (საპიოზთა) ათასეული, ერთი ავტომობილთა გუნდი, ერთი საავიაციო გუნდი, და ერთი რადიოტელეგრაფის ცალკე გუნდი

გ) სახალხო გვარდია განსაკუთრებულ დებულებათა მიხედვით მოეწყობა.

მუხლი 2.

ა) საარმიო ქვეითა ბრიგადაში არის: 4 ქვეითა ათასეული და ერთი არტილერიის დივიზიონი.



ბრეგადის სათავეში სდგას ბრიგადის უფროსი.

- ბ) სანაპირო ჯარი შესდგება ექვსი რაზმისაგან.
- გ) ცხენოსან რაზმში არის: სამი ცხენოსანი და ერთი ტყეისმფრქვეველი ესკადრონი, აგრეთვე მცირე გუნდები: სასწავლო, საკავშირო, მხედარ-მესანგრეთა და მესაკრავეთა.
- დ) საარმიო არტილერიის დივიზიონში არის: ერთი საველე ბატარეა (4 სამ ლუმიანი მსუბუქი ზარბაზანი), მორტირის ბატარეა (4 ზარბაზანი „48“) და ერთი მძიმე ბატარეა (4 ექვს ლუმიანი ზარბაზანი).
- ე) მესანგრე ათასეულში არის: ორი მესანგრე გუნდი და ორი სატელეგრაფო.
- ვ) ცალკე საავტომობილო გუნდში არის: სამი ავტომობილა და ერთი ჯავსნოსანთა მწყობრი.

ზ) საავიაციო ცალკე გუნდი შესდგება: საავიაციო გუნდისა და სამხედრო საავიაციო სკოლისაგან.

თ) რადიოტელეგრაფის ცალკე გუნდში არის: რადიოტელეგრაფი (2 მულმივი სადგური, ორი საველე სადგური) და პარკი.

მუხლი 3.

ა) ქვეითა ათასეული შესდგება: ხუთი ქვეითა და ერთი ტყეისმფრქვეველი გუნდებისაგან; კავშირთა, დამზერავთა, უმწყობროთა და მესაკრავეთა მცირე გუნდებისაგან.

ბ) საარტილერიო დივიზიონს შეადგენს სამი ბატარეა, თვითეული ოთხ-ზარბაზნიანი.

მუხლი 4.

რეზერვს სარდლობასთან არსდება სამმართველოები ჯარის მართვისათვის. სამმართველოების შედგენილობა შტატით განისაზღვრება.

მუხლი 5.

ყოველი საინჟინერო-სატეხნიკო ჯარი, ბრეგადის უფლებათა საფუძვლით, ექვემდებარება საინჟინერო-სატეხნიკო ჯარის უფროსს.

მუხლი 6.

ამას გარდა ჯარს ექუთუნის: გენერალური შტაბის ოფიცრები, სამხედრო საბჭოს, სამხედრო სამინისტროს, სამხედრო სკოლის და ადგილობრივ თვით-მართველობასთან მყოფი სამხედრო აღრიცხვის ნაწილებითა ოფიცრები და მოხელენი. ამ დაწესებულებათა ოფიცრებისა, ექამების და მოხელეების რაოდენობა შტატით განისაზღვრება.

მუხლი 7.

სამხედრო სკოლის შეადგენს: იუნკერთა ქვეითა გუნდი, ცხენოსანი, საარტილერიო. საინჟინერო მწყობრნი იუნკერთა (ოფიცრთა მოსამზადებლად) და ნაცვალთა ათასეული არტილერიის მწყობრით (ქვეითა ჯარისა და არტილერიისათვის ნაცვლების მოსამზადებლად).

1919 წ. ივლისის 29.

დედანხედ ხელს აწერენ: საქ. დამ. კრ. თავმ. უფრო. ამხანაგი **აღ. ლ. მთათიძე**

საქარ. რესპუბ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **მზგ. გვაგუკორი**

კ ა ნ ო ნ ი

შვიარაღებულ ძალთა მართველობის მოწვობისა.

მუხ. 1. საქართველოს შეიარაღებულ ძალთა უზენაესი ხელმძღვანელი არის პარლამენტი, ხოლო მის მოწვევაზე დაფუძნებული კრება, რომელიც განახორციელებს თავის სამხედრო უფლებას რესპუბლიკის მთავრობის საშუალებით.

მუხ. 2. მთავრობა თავის ხელისუფლებას განახორციელებს მუდმივი ჯარის მიმართ სამხედრო მინისტრის საშუალებით, ხოლო სახალხო გვარდიის მიმართ, ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. 2 ივნისის მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის „კანონის“ თანახმად.

მუხ. 3. სამხედრო მინისტრი ხელმძღვანელი თავისი უწყების დარგის მართვა-გამგეობისა და თავის მოქმედებაში უშუალოდ ემორჩილება რესპუბლიკის მთავრობას. იგი არის მომხსენებელი მთავრობის წინაშე სამხედრო საქმის ყველა საკითხში.

იგი ხელს აწერს მთავრობის ბრძანებას მხედრობის მიმართ.

მუხ. 4. ოპიანობის დროს მტრის წინააღმდეგ მოქმედებებში ყველა შეიარაღებულ ძალას სათავეში უდგას მთავრობის საგანგებო დეკრეტით დანიშნული ჯარის სარდალი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება მთავრობის თავმჯდომარეს. საომარ ოპერაციებში სრულიად თავისუფლად მოქმედებს, იგი ოპის წარმოებას ყველა საკითხის თაობაზე მომხსენებელია მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ეძლევა, როცა საქირად დაინახავს, სარდალთან დანიშნოს სამხედრო-საველე საბჭო, რომელიც განაგებს ადგილობრივ ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საკითხებს.

მუხლი 5. სამხედრო მინისტრისთვის დაინიშნება აშხანაგი, რომელიც არის უახლოესი მრჩეველი და ახვე დროს ნაცვლი სამხედრო მინისტრისა. ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე საქმეებს პრინციპიალური, პოლიტიკური და საბიუჯეტო ხასიათი არა აქვს, სამხედრო მინისტრის აშხანაგი დაოუყვადებლავ გადასწყვეტს საქმეს, და სამხედრო მინისტრის მაგიერ ხელს მოაწერს.

მუხ. 6 სამხედრო სამინისტროში თავმოყრილია სამხედრო მართველობის ყოყელ დარგის გამგეობა, სახელდობრ:

ა) სამხედრო საბჭო; ბ) გენერალურ შტაბის განყოფილება; გ) სამწო განყოფილება; დ) პირადი შედგენილობის განყოფილება და ე) ტოპოგრაფიული განყოფილება; ვ) სამხედრო სამინისტროს კანცელარია და ზ) სამხედრო საბჭოსთან დაარსებული კულტურულ-განმანათლებელი სექცია.

მუხ. 7. სამხედრო მინისტრთან მისი ან მის მიერ დანიშნულ პირის თავმჯდომარეობით არსდება სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭოს წევრნი სამხედრო მინისტრის წინადადებათა ინსპექციის მოუხდენენ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს; ინსპექციის თაოსნობა თერთს სამხედრო საბჭოსაც ეკუთვნის. სამხედრო საბჭოს ექვემდებარება სამწო კომიტეტი.

სამხედრო საბჭო შესდგება ექვსი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს მთავრობა სამხედრო სამინისტროსა და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ დასახელებულ სამ-სამ კანდიდატისაგან.

სამხედრო საბჭოს უფლება-მოვალეობანი დაწვრილებით განიპარტება განსაკუთრებულის დებულებით.

მუხ. 8. გენერალურ შტაბის სათავეში სდგას გენერალურ შტაბის უფროსი. იგი მშვიდობიანობის დროს ასრულებს აგრეთვე რესპუბლიკის ჯარის შტაბის უფროსის მოვა-



ლეობას. ოპიანობის დროს გენერალურ შტაბის უფროსი ასრულებს საველე ჯარის ბის; უფროსის მოვალეობასაც.

გენერალურ შტაბის განყოფილებას შეადგენს:

ა) აზერატიული სექცია; ბ) სახედრო საზღვაო სექცია; გ) კანცელარია; დ) სამხედრო საისტორიო არქივი წიგნთ-საცავით.

აზერატიული სექციის სათავეში სდგას სექციის უფროსი. ამ სექციის საქმეს შეადგენს:

ა) ქვეყნის თავდაცვა; ბ) საზღვრების დაცვა; გ) კავშირის სამსახური; დ) ჯარის სამწყობრო და საომარი მომზადება; სახედრო სამოსწავლო საქმე, გაწვრთნა და აღლუმობა. ე) დაზვერვა და კონტრ-დაზვერვა. ვ) სამხედრო მიზოსვლა; ზ) ჯარის შედგენა და მოწყობა; თ) ჯარის ყოფა-ცხოვრება; ი) მობილიზაცია; კ) ახალწვეულთა მოკრფვა. გარდა ამისა ოპიანობის დროს განაგებს ჯარის საველე ობერატიებს.

სექციაში ხუთი ნაწილია: სამწყობრო, სამობილიზაციო, მხვერავი, სამხედრო მიმოსვლისა და საკავშირო.

სამხედრო საზღვაო სექციის სათავეში სდგას სექციის უფროსი. სექცია არკვევს რესპუბლიკის საზღვაო თავდაცვის საკითხებს.

გენერალურ შტაბის კანცელარიის სათავეში სდგას კანცელარიის უფროსი. კანცელარია განაგებს გენერალურ შტაბის უფროსის და გენერალურ შტაბის განყოფილებისა და მისი ნაწილების სახელობის მთელ მიწერ-მოწერას.

სამხედრო საისტორიო არქივისა და წიგნთ-საცავის სათავეში სდგას არქივის გამგე. არქივის ხელშია სამხედრო-საისტორიო მასალათა შეკრება დაცვა, და მისი მეცნიერული გამოყენება.

ოპიანობის დროს არქივი აწყობს დოკუმენტების შეკრფას მომქმედ ჯარის კედაროზე (ფრონტზე).

მუხ. 9. სამნეო განყოფილების სათავეში სდგას სამხედრო მნეობის კომიტეტი, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრნი ინიშნებიან მთავრობის მიერ; თავმჯდომარე და ერთი წევრთაგანი სამხედრო მინისტრის მიერ წარდგენილ, და მეორე წევრი კი გვარდიის მთავარი შტაბის მიერ წარდგენილი.

სამნეო განყოფილება განაგებს ჯარისა და სახალხო გვარდიის, სურსათ-სანოვავის საქმეს, როგორც მშვიდობიანობის ისე ოპიანობის დროსაც.

სამნეო განყოფილებაში შემდეგი სექციები შედიან:

ა) საბიუჯეტო, ბ) სასურსათო, გ) საბარგო-სანივთო, დ) სატეხნიკო, ე) საარტილერიო, ვ) სასანიტარო და ზ) საბეითლო, თ) აგრეთვე კანცელარია;

საბიუჯეტო სექცია განაგებს ფულის ულუფის საქმეთა შეშუშავებას.

სასურსათო სექცია განაგებს სანოვავის მოწოდების საქმეს.

საბარგო-სანივთო სექცია აწარმოებს მოკაზმულობისა და საბარგულო საქმეს.

სატეხნიკო სექცია განაგებს დაბინავენისა და შენობათა შეკეთების საქმეს; აგრეთვე აწვდის სატეხნიკო იარაღებს და მასალებს ყველა ნაწილებს სექციის სათავეში სდგას სამხედრო ინჟინერი.

საარტილერიო სექცია განაგებს ყველა საარტილერიო საფენების და მასალის მიწოდებას, საარტილერიო ქარხნებს, საწყობებს და სასწავლო პოლიგონებს. სექციის სათავეში სდგას არტილერიის აკადემიკოსი.

სასანიტარო სექციის სათავეში სდგას სამხედრო სასანიტარო ექიმი; სექცია განაგებს ყველა საკითხებს რაც კი სასანიტარო საქმეებს ეხება.

საბეითლო სექციის სათავეში სდგას სამხედრო ბეითალი.

კანცელარია განაგებს მთელს მიწერ-მოწერას სამხედრო სამნეო კომიტეტისა და სამნეო განყოფილების სახელობაზე.



მუხ. 10. პირად შედგენილობის განყოფილების სათავეში სდგას განყოფილების უფროსი. რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო მინისტრს.

განყოფილება განაგებს სამხედრო უწყების პირად შედგენილობის განწესებისა, დათხოვნისა, დაჯილდოებისა და აგრეთვე პატიოსნების საბჭოების საქმეს. ამის გარდა ამავე განყოფილებაშია მოათავსებული სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების პენსიების საქმეც.

მუხ. 11. ტოპოგრაფიულ განყოფილების სათავეში სდგას გეოდეზისტი ან ტოპოგრაფი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო მინისტრს. განყოფილება განაგებს რესპუბლიკის მიწა-წყლის ტოპოგრაფიულ სურათების გადაღების და რუკების გამოცემის საქმეს.

მუხ. 12. სამხედრო სამინისტროს კანცელარიის სათავეში სდგას კანცელარიის უფროსი; იგი უშუალოდ მომხსენებელია სამხედრო მინისტრისა. კანცელარია განაგებს მთელს მიწერ-მოწერას სამხედრო მინისტრისა და სამხედრო საბჭოს სახელობაზე და აგრეთვე სამხედრო სამინისტროს პირად შედგენილობის დაკმაყოფილების საქმეს ჯამაგირითა და სარჩოთი. კანცელარიაში რედაქციას ლკეთებენ სამხედრო მინისტრის განკარგულებათა კრებულს კანცელარიის უფროსი მომხსენებელია აგრეთვე სამხედრო საბჭოსი.

მუხ. 13. კულტურულ-განმანათლებელი სექცია ემსახურება კულტურულ-განმანათლებელ. საქმეს ჯარში. სექციის სათავეში სდგას შესაფერად მომზადებული ადამიანი; სექციის უფროსი უშუალოდ ექვემდებარება სამხედრო მინისტრს.

მუხ. 14. ყველა დარგის ჯარისათვის ოფიცრებისა და ნაცვლების მოსამზადებლად არსდება სამხედრო სკოლა, იქვე მოეწყობა ყოველ-ნაირი საოფიცრო სკოლები, რომელიც ემორჩილება სამხედრო მინისტრს.

სამხედრო სკოლის სათავეში სდგას სკოლის უფროსი.

1919 წ. ივლისის 29-ს


დედანზედ ხელს აწერენ: საქ. დამ. კრების თავმ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე

საქ. რესპუბ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვმგ. გეგეჭკორი

კ ა ნ ო ნ ი

სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა წევსებისა.

- მუხლი 1.** სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და ყველა მოქალაქისათვის საპირადო.
- მუხლი 2.** **შენიშვნა:** ეს მუხლი არ შეეხება მაჰმადიან და ღებხაბორ მოქალაქეებს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, კანონში მოხსენებულ გამოწვევებისა გარდა, 20-დან 45 წლას ჰასაკამდე ვალდებული არის პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა.
- მუხლი 3.** ის პირნი რომელნიც ვალდებულნი არიან სამხედრო ბეგარა მოიხადონ, მაგრამ სამწყობრო სამსახურისთვის გამოუსადეგარნი არიან, ჯარში იქნებიან გაწვეული ისეთი მოვალეობისათვის, რომელიც შეეფერება მათ ფიზიკურ მდგომარეობას და აგრეთვე მათ კერძო სამსახურსა თუ ხელობას.
- შენიშვნა:** მთავრობას შეუძლია ამ მუხლს ღებხაბორები დეუქემდებაროს.
- მუხლი 4.** საქართველოს შეიარაღებული ძალა შესდგება ჯარის და სახალხო გვარდიისაგან.
- მუხლი 5.** ჯარი არის მუღმივი, სათადარიგო და მოლაშქრე. მუღმივი ჯარი მუღამ მზად არის საოპარი სამსახურისათვის, სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის დანიშნულებათა მუღმივი ჯარის გაძლიერება და შეესება მობილიზაციის დროს. მობილიზაციის გამოცხადების და სათადარიგო და მოლაშქრეთა გაწვევის ნება ეძლევა მთავრობას.
- შენიშვნა:** თუ საქმობლო განსაცდელშია, კანონმდებელ ორგანოს შეუძლია გამოიწვიოს ჯარში რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი ჩვიდმეტლიან ორმოცდა ხეთმეტ წლამდინ.
- მუხლი 6.** სახალხო გვარდია როგორც მშვიდობიანობის ისე ოპიანობის დროს, იკრიბება რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან. გარდა სამხედრო ბეგარის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა, სახალხო გვარდიის შესახებ დებულების თანახმად; ამასთანავე ყველა გვარდიელთათვის აღმრიცხველ დაწესებულებებში არსებობს განსაკუთრებული სიები.
- მუხლი 7.** ოჯახის ერთად ერთი მარჩენელი მოქალაქენი რესპუბლიკისა, 1919 წ. 20 მისის მიღებულ განსაკუთრებულ კანონის თანახმად, მუღმივ და სათადარიგო ჯარში სამსახურისაგან თავისუფლებიან და პირდაპირ მოლაშქრედ ჩიირიცხებიან.
- მუხლი 8.** მუღმივი ჯარისა, სათადარიგოთა თუ მოლაშქრეთა შედგენილობაში მყოფი სამხედრო მსახურნი და სასწავლო ყრილობაში გაწვეულნი პოლიტიკურ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ.
- მუხლი 9.** სამსახურის საერთო ვადა 25 წელიწადია, აქედან ქვეითა ჯარის ნამდვილ სამსახურში მყოპრათ 1 წ. 4 თვე, ხოლო დანარჩენ დარგის ჯარის და ფერულეები 1 წელიწადი და 8 თვე; სათადარიგოში—15 წელიწადი, დანარჩენნი დრო კი ლაშქარში. გადარიცხვა ნამდვილ სამსახურიდან სათადარიგოში და სათადარიგოდან ლაშქარში სწაპობებს ყოველ წლივ კანონით დადგენილ ვადაზე, თუ ამის თაობაზე მთავრობის სავანებებო ბრძანება არ გამოსულა.



მუხლი 10. ვისაც მსურს ვადის შესრულების შემდეგაც განაგრძოს ნამდვილი სამსახურისათვის.

მუხლი 11. საშხედრო ბეგრის მოხდაში ვადის გადაღებით სარგებლობენ: 1) გასწვევ წლოვანების ახალგაზდანი, რომელნიც უწყებულ წელიწადს ჯარში გაწვეულთა სიჭარბისა გამო ნამდვილ სამსახურში არ მოხდენენ; ამ პირთ ნამდვილ სამსახურში გაიწვევენ შედეგ წელს პირველ რიგში; 2) ციხაკურად უმწიფარი, ან დაავადებული ისეთი სნეულენბია, რომელიც სამსახურისაგან მთლად არ ათავისუფლებს; 3) საშუალო სკოლის მოწაფენი 21 წლის შესრულებამდე, თუ სათანადო სკოლის შესაფერი მოწმობა ექნებათ წარდგენილი.

შენიშვნა: სამართალში მიცემული და გამოძიების ქვეშე მყოფი პირნი ისეთი საქმეებისათვის, რომელიც გულისხმობს უფლების აყრას ან შეზღუდვას, სამხედრო ბეგრის მოსახდელათ არ გაიწვევიან ვიდრე მათი საქმე არ გათავდება.

მუხლი 12. გაწვევა სწარმოებს ყოველ წლიც 15 ნოემბერს, გაიწვევიან ყველა ახალგაზდები, ვისაც კი გაწვევის წელიწადის მომდევნო იანვრის 1-სთვის 20 წელი უსრულდებათ. სამსახურის ვადა ითვლება სამსახურში შესვლის დღიდან. ახალგაწვეულთა გაწვევის და შემოწმების წესები მოთავსებულია საშხედრო ბეგრის წესდებაში.

მუხლი 13. გასწვევის მოთადარიგე და მოლაშქრე მოქალაქეთა აღრიცხვა ეწელება სათანადო სამხრო ერობებთან და ტფილიასი თვითთარებლობასთან არსებულ სამხედრო აღრიცხვის ნაწილებს; სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა მოვალეობანი განპარტებულთა სამხედრო ბეგრის წესდებაში.

მუხლი 14. მოთადარიგე და მოლაშქრე პირნი ექვევდებარებიან განსაკუთრებულ აღრიცხვას და სამხედრო კონტროლს. სათანადარიგო ჯარში გადარიცხული და პირდაპირ მოლაშქრედ ჩარიცხულნი პირნი შეიძლება სამი კვირით გაიწვიონ სასწავლო ყრილობაზე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

მოლაშქრენი სასწავლო ყრილობაზე მხოლოდ ერთხელ გაიწვევიან სამი კვირით მოლაშქრედ ყოფნის განმავლობაში.

სასწავლო ყრილობაზე გაწვევის ვადასგანმარტავს სამხედრო მინისტრი, ხოლო გაწვევა არ უნდა ხდებოდეს საარჩევნო კომპანიისა და საზოგადო პოლიტიკურ თუ კომუნალურ არჩენების დროს. სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფთ სასწავლო ყრილობაზე გაწვევის დროს თავისი ადგილები შეენახებათ.

მუხლი 15. მთავრობას უფლება ეძლევა ამ კანონის გასანვითარებლად შეიმუშაოს სამხედრო ბეგრის წესდება.

1919 წ. ივლისის 31-ს

დედანზედ ხელს აწერენ: საქ. დამ. კრ. თავ. უფროსი აბნანავი. **ალ. ლომთათიძე**

საქ. რესბ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. **მგვ. გიგეჭკორი**

კ ა ნ ო ნ ი

სამხედრო პირთა ხარისხების შესახებ დებულების შეცვლისა.

1. გაუქმებულ იქნეს ხარისხები და ხარისხის მინიჭება არსებულ დებულებათა, ბრძანებათა და განკარგულებათა თანახმად, ოის მაგივრად დაწესებულ იქნეს ოფიცერთათვის შემდეგი სახელწოდებანი, თანამდებობათა მიხედვით:

ა) გენერალი—ის პირი, რომელსაც ბრიგადის უფროსის ან უფრო მაღალი თანამდებობა უკავია, ან და თანაბარი თანამდებობა უჭირავს სამხედრო უწყების სამხარეთელოსა და დაწესებულებაში.

ბ) პოლკოვნიკი—ერთეულის უფროსი ან ის პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა უჭირავს სხვა გვარ იარაღის ნაწილსა, სამხარეთელოსა და დაწესებულებაში.

გ) მაიორი—ერთეულის უფროსის თანაშემწე, დამოკიდებული ნაწილის უფროსი და ის პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა უჭირავს სხვა გვარ იარაღის ნაწილისა, სამართელოსა და დაწესებულებაში.

დ) კაპიტანი—გუნდის უფროსი და ის პირი, რომელსაც თანაბარი თანამდებობა უჭირავს სხვა გვარ იარაღის ნაწილისა, სამხარეთელოებსა და დაწესებულებაში.

ე) უფროსი ლეიტენანტი-გუნდის უფროსი ოფიცერი.

ვ) ლეიტენანტი-ყველა სხვა უმცროსი ოფიცრები.

2. ოფიცერი ამ თუ იმ თანამდებობაზე დამტკიცებისთანავე შეიძენს თანამდებობის შესაფერ სახელწოდებას.

3. გაუქმებულ იქნეს ექიმებისა და სამხედრო მოხელეების არსებული ხარისხი.

1919 წ ივლისის 31-ს.

დედანხედ ხელს აწერენ:საქ. დამ. კრ. თავ. უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე

საქა. რესპ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე მგგ. გეგეჭკროი

კ ა ნ ო ნ ი

სამხედრო მფრინავთა ჰაერში ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემისა.

1. დაწესდეს ავიო-სპეციალისტების სათანადო უფროსას ბრძანების თანახმად ჰაერში ფრენისათვის ჯამაგირის დამატებად გასამრჯელო.

- ა) სროლის კორექტირობისათვის
- ბ) რადიო დებეშის გზანისთვის
- გ) ჰაერო-ფოტოგრაფიისთვის
- დ) ტყვიის მურქვეველის სროლისთვის
- ე) ჰაერო-აღლუმისათვის (საჰაერო ტაქტიკა)
- ვ) ჰაერში ვარჯიშობის და
- ზ) ყუმბარების ტყორცისათვის

2. განისაზღვროს $\frac{1}{2}$ საათით მინიმუმი იმ დროსი, რომლისთვისაც გასამრჯელოს მიცემა არსდება.

3) ავიო-სპეციალისტებს გასამრჯელო უნდა ეძლეოდეთ ამასთან დართულ ნუსხის თანახმად.

4) ჰაეროზღანების გადაცემის დროს, მფრინავი გადაძვეში მიიღებს დამატებით თვითეულ, უკვე გამოცდილ ჰაეროზღანისათვის—400 მან.

5) ჰაერში ყოფნის უდიდესი ხანგრძლივობა, რომლისთვისაც გასამრჯელო ეძლევათ მფრინავებს განსაზღვრულ იქნეს 15 საათით თვეში (ფრენის საათობით რაოდენობის გამოკვევა ყოველ თვიურად სწარმოებს).

6) ეს დებულება გავრცელებულ იქნეს ყველა სამხედრო მოსამსახურეზე, რომელიც გამართავს ფრენას უფროსთა ბრძანების თანახმად.

7) დებოლვა ესე ძალაში უყდის ანა წლის ივნისის 1-დან.

ნ უ ს ხ ა

| | |
|----------------------------------|--------|
| პირველი ნახევარი საათი | 70 მ. |
| მეორე " | 60 მ. |
| მეორე საათი | 120 მ. |
| მესამე " | 110 მ. |
| მეოთხე " | 100 მ. |
| მეხუთე " | 90 მ. |
| მექვსე " | 80 მ. |
| მეშვიდე " | 70 მ. |
| მერვე " | 60 მ. |
| მეცხრე " | 50 მ. |
| მეათე და შემდეგი | 40 მ. |

1919 წ. ივლისის 31-ს.

დედანზედ ხელს აწერენ: საქ. დამ. კრ. თავ. უფროსი ამხანავი ალ. ლომთათიძე

საქ. რესპ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვახ. გვაშკორი



კ ა ნ ო ნ ო

ოფიცრების, სასხედრო მოხელეების და ჯარის-კაცების ჯამაგირებისა

§ 1

ხარისხვნობაზე წარდგენის სისტემის შეცვლისა და გაძლიერებულ სიძვირის გამო, დღედე არსებულ ჯამაგირების შესაცვლელად, წესდება შემდეგი ჯამაგირები იმ თანამდებობას მიხედვით, რომელიც არის შემოღებული ჯარში, და სახედრო უწყების დაწესებულებასა და საშაროველოში.

§ 2

ამა 1919 წლის ივნისის პირველიდან წესდება შემდეგი ჯამაგირები თანამდებობის და ჯარის-კაცთა წოდების მიხედვით:

| დანამდებობის სახელწოდება | ჯამაგირი თვეში |
|--------------------------|----------------|
| ბრიგადის უფროსი | 3.000 მანეთი |
| „ უფროსის თანაშემწე | 2.700 „ |
| ცალკე ათასეულის უფროსი | 2.500 „ |
| „ ათასეულის თანაშემწე. | 2.200 „ |
| გუნდის უფროსი | 1.800 „ |
| უფროსი ოფიცერი | 1.500 „ |
| უმცროსი | 1.200 „ |
| ზედმეტრი მსახური ზემდეგი | 600 „ |
| „ უფროსი ნაცვალი. | 500 „ |
| ვადით მსახური ზემდეგი | 100 „ |
| „ „ უფროსი ნაცვალი | 90 „ |
| „ „ უმცროსი ნაცვალი. | 70 „ |
| თავმდეგი. | 60 „ |
| რიგის ჯარის-კაცი. | 50 „ |

შენიშვნა: 1 შემოაღნიშნული ჯამაგირის გარდა ყველას ეძლევა ჯარის-კაცის ულუფა უფასოთ.

2 იმ პირებს, რომლებსაც ამ ჟამად სახაზინო ბინები აქვთ დაკავებული, ახალ ჯამაგირიდან უნდა გამოერიცხოს ის ფული, რომელიც მათ უნდა გადაიხადონ ბინის ქირად, თანახმად ბინების შეფასებისა.

3 შტატ გარეშე პირთ, რომელნიც რეორგანიზაციის დროს იქმნებიან დათხოვნილი არ აქვთ უფლება მიიღონ, თანახმად მთავრობის დადგენილობისა 1919 წ. 4 თებერვლის თარიღით, ახალი შტატით დაარსებული ჯამაგირი. მათ მხოლოდ ეძლევათ ის ჯამაგირი, რომელსაც ღებულობდნენ რეორგანიზაციამდე; იმ დღიდანვე მათ არ ეძლევათ აგრეთვე უფასო ულუფა.

4 ის თანადებობანი, რომელიც ახალ შტატში არ არის მოხსენებული ნასწორებულ უნდა იქნენ ახალ შტატთან ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო კონტროლის თანადასწრებით და მის დადასტურებით—და სამხედრო მინისტრის მიერ დამტკიცებით.

9 ივლისი 1919 წელი.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი აშანაგა ალ. ლომთათიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვ. გვაგუკორო

ოფიცერთა და ჯარისკაცთა წახისამოსის ფორმა

ჩვეულებრივი ფორმა ოფიცერთათვის.

- 1. ფრენჯა საქარეულეზათ დამფარავი რუხი ფერის ქსოვილისა, აპართულ საყელო-თი. უკან ნაოკ გაბმული.
- 2. ქართული ხალაგი დამფარავი რუხი ფერის ქსოვილისა სამხრეულეზით და ორი გულჯიბით. ხალათის ჯიბეები და გულის პირი შავ ყაითან მოვლებულია.

შენიშვნა: სამხრეულეზი აქსთანავე დართულ ნიშუშისაა.

3. შარვალი დამფარი რუხი ფერისა მოკლე, შინდის ფერის ყაითან ჩაყოლებული. მწყობრის გარეშე ნება დართულია რუხი მოლურჯო ფერის, როგორც მოკლე, ისე ვად-მოშვებული.

- 4. ქუდი: ა) ბოხოხი სამი გოჯის სიმაღლისა (ცა დამფარავი ფერისა).
ბ) თუშური ქუდი (ღმიანობის დროს დამფარავი რუხი ფერის ქსოვი-ლისა).
გ) გაზაფხულით ფრანგული კეპი დამფარავი ფერის ქსოვილისა.

5. პალტო შემუშავებული ნიშუშისა დამფარავი რუხი ფერის ქსოვილისა, იმზე მას-ლის სამხრეულეზით.

6. ფეხთსაცმელი: ა) მაღალ ყელიანი ჩექმები, ბ) უყელო წალქი ტოლაღებით და საცვეთები და გ) მწყობრის გარეშე ნება დართულია ყოველგვარი წაზა.

სადარაჯო ფორმა ოფიცერთათვის.


ისეთივე როგორც ჩვეულებრივი, მხოლოდ მაღალ ყელიანი ჩექმებით. ქაპრით და რევოლვერით (ლივერით;) ქაპარი მოქნილი ტყვიისა, 1 1/4 გოჯის სიგანისა. მწყობრის გარეშე—ქართული ქაპარი.

საველე ფორმა ოფიცერთათვის.

ისეთივე როგორც სადარაჯო, მხოლოდ საველე ჩანთით რუკებისათვის და დურ-ბინდით.

880/4

482/1-7





ხმლის ან ხანჯლის ტარება სავალდებულოა სადარაჯო და საველე ფორმაზე, აგრეთვე მწყობრში.

ჩვეულებრივი ფორმა ჯარის-კაცთათვის.

- 1) ისეთივე ქართული ხალათი, როგორც ოფიცერთათვის.
- 2) მოკლე შარვალი იმავე ფერისა, როგორც ხალათი.
- 3) ქუდი ისეთივე როგორც ოფიცრისა.
- 4) პალტო ისეთია, როგორც ოფიცრისა.
- 5) ფეხსაცმელი: მაღალ ყელიანი ჩექმები, უყულო წაღები ტოლალებით, საცვეთ-ბით ან პაიჭით.
- 6) ქაშარი ისეთივე, როგორც ოფიცრისა.

სადარაჯო ფორმა ჯარის-კაცთათვის.

ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი, მხოლოდ ერთი ვეზნით.

საველე ფორმა ჯარის-კაცთათვის.

ისეთივეა, როგორც სადარაჯო მხოლოდ თან ერთვის ორი ვეზნა, სასანგრე იარაღი, საველე კარავი პალოცხიანათ, სათადარიგო ჩანთა, პატარა ქვაბი, მათარა და პატრონტაში.

ოფიცრებისა და ჯარის-კაცების გასარჩევი ნიშნები სამხრეულებისა ჯარის დარგის მიხედვით.

ჯარის დარგის მიხედვით ოფიცრებისა და ჯარის კაცების გასარჩევი ნიშნები ლითონისა სამხრეულებზეა დასმული.

ქვეითა ჯარში.

ორი გადაჯვარდინებული თოფი.

არტილერიაში.

ორი გადაჯვარდინებული ზარბაზანი, ხოლო შუაში ალიანი ყუმბარა (სულ შავი ფერისა).

ცხენოსან ჯარში—ორი გადაჯვარდინებული ხმალი; საინჟინერო ჯარში:

- 1) საპიორთათვის გადაჯვარდინებული წვრაქი და ნიჩაბი.
- 2) საავტომობილო ნაწილში—ავტომობილი.
- 3) საავიაციო ნაწილში—ჰაეროპლანი.
- 4) სატოპოგრაფიაში—ფარგალი და სამკუთხედი.



თანამდებობათა გასარჩევი ნიშნები.

თანამდებობათა გასარჩევედ ყოშებზე მოვეყრება ნახევარ სანტიმეტრის სიბრტყის ზონარი. ხსენებული ზონარი შტაბ-ოფიცრებისა და ობერ-ოფიცრებისათვის აბრეშუმისაა, გენერლებისათვის კი ოქროკედისა. ამას გარდა ქვეთა ჯარისათვის ზონარი შინდის ფერისა უნდა იყოს, ტენოსანი ჯარისათვის—ცისფერი, სპეციალ-დარგის ჯარისა და გენერალურ შტაბის ოფიცრებისათვის—შავი, შტაბების ოფიცრებისათვის და ტოპოგრაფთათვის—მუქი ყვითელი, სანაპირო ჯარისათვის—მწვანე და სამხედრო სკოლისათვის—წითელი.

ამასთანავე უპირობო ოფიცრს ყოშებსა და საყელოზე ზონარი ცალ-ზოლად მოვევლება.

გუნდას უფროს ოფიცრს და მის თანასწორ თანამდებობის პირთ მოვლებული აქვთ ზონარი საყელოზე ერთ-ზოლად, ყოშებზე—ორ-ზოლად, ნახევარ სანტიმეტრის მოშორებით ერთი მხორგსაგან.

გუნდის უფროსს და მის თანასწორ თანამდებობის პირთ ასეთივე ზონარი ყოშებზე—სამ ზოლად, საყელოზე კი—ცალ ზოლად.

ათასეულის უფროსის თანაშემწეს და მას თანასწორ თანამდებობის პირთ ასეთივე ზონარი—სამ ზოლა ხვეულებით, ამასთანავე დართულ ნახატის მიხედვით, საყელოზე ზონარი ცალ ზოლად ისეთივე ხვეულებით, როგორც ყოშებზე (ხვეულები საყელოს შესაკრავის ორთავე მხარეზეა).

ბრიგადის უფროსის თანაშემწეს, ცალკე ერთეულების უფროსს, და მათ თანასწორ თანამდებობის პირთ, ისეთივე, როგორც ათასეულის უფროსის თანაშემწეს, მხოლოდ ორ ორი ხვეულით საყელოზედაც და ყოშებზედაც.

ბრიგადის უფროსს და მის თანასწორ თანამდებობის პირთ, ცალ ზოლად ოქროკედის ზონარი, როგორც საყელოზე ისე ყოშებზე—ერთი სანტიმეტრის სიგანისა.

სამხედრო მინისტრის თანაშემწეს, ლაშქრის სარდალს, და სამხედრო საბჭოს წევრთ—ოქრო კედის სირპა ყოშებზედაც და საყელოზედაც ორ-ზოლად.

გასარჩევი ნიშნები ქულისა.

ბოძობის ცა დამფარავი ფერისაა, ამავე დროს, როგორც ბოძობის ისე თუშური ქულის ცას უნდა შემოვლებული ჰქონდეს ისეთივე ზონარი, როგორც საყელოზე, მხოლოდ უხვეულოდ.

ჯარის-კაცების გასარჩევი ნიშნები.

- 1) თავდევს ყაითანი ყოშებზე—ცალ ზოლად. ჯარის დარგის დაგვარის ფერისა.
 - 2) უპირობოს ნაცვალს ორი ასეთი ზოლი ყოშებზე.
 - 3) უფროსს ნაცვალს—სამი.
 - 4) ზემდეგს—სამი ასეთი ზოლი, ხოლო მეოთხედი ერმანეთზე გადახლართულია.
- ამას გარდა იუნკრებს საყელოზე შემოვლებული ექნებათ ეროვნული ფერების ყაითანი.

კ ა კ ა რ დ ა.

ოფიცერთათვის არსებული ნიშნისა, მხოლოდ ამობურცული ეროვნული ფერების კონცენტრული წრეებით, კაკარდის გარშემო კუწულები.

ა ქ ს ე ლ ბ ა ნ ტ ე ბ ი.

დამფარავი ფერის და ძაფეულისა.

შენიშვნა: დადგენილია იმ ოფიცრებისათვის, რომელთაც აქვთ აღიუტანტის წოდება, აგრეთვე გენერალური შტაბის ოფიცრებისათვის.



დ ე ზ ე ბ ი .

დადგენილია იმათთვის, ვისაც ცხენი ეძლევა.

შ ე ს ა კ რ ა ვ ე ბ ი .

ხალათზე—ყაითნისა, ფრენჩსა და პალტოზე—ძვლისა.

ნ უ მ ე რ ა ც ი ა .

ქვეითა ჯარის ერთეულებისა და არტილერიის დივიზიონებისათვის სამარეულებზე ლითონის, ან ქსოვილის ნომრები. ქვეითა ჯარისა და არტილერიის ერთეულები აღინიშნება არაბული ციფრებით, ბრიგადის ნომრები რომაულით.

ნომრები მოთავსებულია გასარჩევ ნიშნების ქვემოთ.

ექიმთა და მოხელეთა ტანისამოსის ფორმა.

სამხედრო უწყების ექიმები და მოხელენი ატარებენ ისეთსავე ფრენჩსა და ხალათს როგორც ოფიცრები, მხოლოდ გასარჩევი ნიშნების გამოკლებით.

ექიმების გასარჩევი ნიშნები.

ექიმებს საყელოს შესაკრავის ორსავე მხარეს—მინაქრის წითელი ჯვარი, ბეითლებს —ლურჯი.

სამოქალაქო ტანისამოსის ტარება.

ოფიცრებს და გენერლებს ნება აქვთ საშახურის გარეშე სამოქალაქო ტანისამოსი ატარონ.

1919 წ. 29 ივლისი.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ემ. გეგეჭკორი

შ ტ ა ტ ი № I

ს ა მ ხ ე რ ო ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო.



I. სამხედრო სამინისტროს კანცელარია.

| თანამდებობის სასკელოდგება. | მსახურთა რიცხვი | საზღაურო რიცხვი | ცხენების რიცხვი | თუღური ჯამაგირი თითოს | შენიშვნა. |
|---|-----------------|-----------------|-----------------|-----------------------|-------------------------|
| სამხედრო მინისტრი | 1 | — | — | — | როგორც მთავრობის წევრს. |
| სამხედრო მინისტრის თანაშემწე | 1 | — | — | — | |
| სამხედრო მინისტრთან მინდობილობათათვის: | | | | | |
| გენერალი | 2 | — | — | 3000 | |
| პოლკოვნიკი | 2 | — | — | 2500 | |
| სამხედრო მინისტრის თანაშემწესთან: | | | | | |
| პოლკოვნიკი | 1 | — | — | 2500 | |
| პირადი აღიუტანტები: | | | | | |
| სამხედრო მინისტრისა: | | | | | |
| უფროსი ლეიტენანტი | 2 | — | — | 1500 | |
| სამხედრო მინისტრის თანაშემწისა: | | | | | |
| უფროსი ლეიტენანტი | 1 | — | — | 1500 | |
| სულ | 10 | — | — | — | |
| I. სამხედრო საბჭო: | | | | | |
| საბჭოს წევრები: ჯარიდან | 3 | — | — | 3000 | |
| სახ. გვარდიიდან | 3 | — | — | 3000 | |
| სულ | 6 | — | — | — | |



2) ს ტ ა მ ბ ა :

| | | |
|--|---|------|
| სტამბის უფროსი (მაიორი). | 1 | 2200 |
| სამხედრო წიგნების მალაზიისა და გამოცემათა, ბლანკების, ქაღალდების საკანცელარიო მოწყობილობის და მასალების საწყობის ზედამხედველი, იგივე კორექტორი (კაპიტანი, ან მოხელე) | 1 | 1800 |
| ტექნიკურ განყოფილების ზედამხედველი (კაპიტანი, ან მოხელე) | 1 | 1800 |
| საქმის-მწარმოებელი, იგივე მოლარე (ლეიტენანტი ან მოხელე) | 1 | 1200 |
| მედავორე (ლეიტენანტი, ან მოხელე) | 1 | 1200 |
| გადამწერი 2) | 4 | — |
| სულ ოფიც. მოხ. გადამწერი | 5 | — |
| | 4 | — |

საწნეო სამსახურის შემსრულებელი მცირე გუნდი:

| | | |
|--|----|---|
| მცირე გუნდის თავი, იგივე მეკუქნავე-უფროსი ნაცვლი. | 1 | — |
| მოდარაჯე | 4 | — |
| მეჯინბე | 1 | — |
| ეზოს დამსუფთავებელი და საწნეო სა-მუშაოთა ამსრულებელი | 4 | — |
| სულ | 10 | — |

ბეჭდვის საქმის ჯარ. - კაცი 7)

| | | | |
|-----------------------------------|-------------------|----|---|
| ასოთამწყობნი: | უფროსი | 1 | — |
| | უმცროსი | 12 | — |
| ბეჭედავი: | უფროსი | 2 | — |
| | უმცროსი | 6 | — |
| ამკინძავი: | უფროსი | 1 | — |
| | უმცროსი | 5 | — |
| უფროსი ასოთ ჩამომსხმელი | 1 | — | |
| სულ | 28 | — | |

7) სპეციალ მომზადებულ ჯარის ცენტრალურების დროს შეიძლება ქვემოთ ჩამოთვლილთა ნებით დაქირავებულებით ნაცვლად მოწვევა.

ელექტრონის საღვური:

| | | | |
|---------------|-------------------|---|---|
| მემოტორე: | უფროსი | 1 | — |
| | უმცროსი | 3 | — |
| სულ | 4 | — | |



| | | | | |
|--|----|---|---|---|
| სულ ოფიცერი და მოხელე | 37 | - | - | - |
| ვადით მსახური ჯარ. - კაცი | 91 | - | - | - |
| ზედმეტი მსახური ან ნებით დაქირავე- ბული | 11 | - | - | - |
| ცხენი | - | - | 4 | - |
| საზიდავი | - | 2 | - | - |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : სამხედრო სამინისტროს ყოველი დარგის საკანცელარო ხარჯისთვის, სამნეო ნაწილს გარდა, ყოველთვიურად გადადებულია ექვსასი თუმანი.

1919 წელს ივლისის 29-ს.

დედანს ხელს აწერენ:
საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **მვხ. ვაგაპკორი**

შ ტ ა ტ ი № I



ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა მ ა ნ ო ს ტ რ ო

2) გენერალურ შტაბის განყოფილება.

| თანამდებობის სასელწოდება | მსახურთა რიცხვი | საზღვაო რიცხვი | ცხენების რიცხვი | თელური ჯამჯირი თილის | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|-----------------|----------------|-----------------|----------------------|-----------------------|
| გენერალურ შტაბის უფროსი (გენერალურ შტაბის გენერალი) | 1 | — | — | 3000 | |
| I. კანცელარია. | | | | | |
| კანცელიარის უფროსი (პოლკოვნიკი) | 1 | — | — | 2500 | |
| მისი თანაშემწე (მაიორი) | 1 | — | — | 2200 | |
| საქმის მწარმოებელი (კაპიტანი, იგივე ექსპედიტორი) | 1 | — | — | 1800 | |
| გადამწერი ¹⁾ | 2 | — | — | — | 1) ნებით დაქირავებული |
| II. ოპერატიული სექცია: | | | | | |
| ოპერატიული სექციის უფროსი (გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი) | 1 | — | — | 2700 | |
| 1) სამწეობრო ნაწილი. | | | | | |
| ნაწილის უფროსი (გენერალურ შტ. პოლკოვ.) | 1 | — | — | 2500 | |
| მისი თანაშემწე: | 3 | — | — | 2200 | |
| | 2 | — | — | 1800 | |
| | 1 | — | — | 1500 | |
| გადამწერი ¹⁾ | 1 | — | — | — | |
| 2) სამობილიზაცია ნაწილი: | | | | | |
| ნაწილის უფროსი (გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი) | 1 | — | — | 2500 | |
| მისი თანაშემწე: | 3 | — | — | 2200 | |
| | 2 | — | — | 1800 | |
| გადამწერი ¹⁾ | 1 | — | — | — | |
| 3) დაზვერვის ნაწილი: | | | | | |
| ნაწილის უფროსი (გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი) | 1 | — | — | 2500 | |



| | | |
|------------------------------------|---|------|
| თანაშემწე (მაიორი) | 2 | 2200 |
| თარჯიმანი (კაპიტანი ²) | 2 | 1800 |
| გადამწერი ¹) | 1 | — |

2) შეიძლება ნებით დაქირავებულიც იყოს. ჯამაგირი იღებენ გუნდის უფროსის თანაბრად.

4) სამხედრო მიმოსვლის ნაწილი:

| | | |
|--|---|------|
| ნაწილის უფროსი, იგივე ჯარის გადაყვან-გადმოყვანის ზედამხედველი (გენერალურ შტაბის პოლკოვნი.) | 1 | 2500 |
| მისი თანაშემწე: მაიორი | 1 | 2200 |
| კაპიტანი | 1 | 1800 |
| ტფილისის სადგურის კომენდანტი (მაიორი) | 1 | 2200 |
| ფოთის სადგურის კომენდანტი (მაიორი) | 1 | 2200 |
| გადამწერი ¹) | 7 | — |
| მოსამსახურე ¹) | 2 | — |

5) საკავშირის ნაწილი³:

| | | |
|--|---|------|
| ნაწილის უფროსი, იგივე კავშირის უფროსი (მაიორი) | 1 | 2200 |
| მისი თანაშემწე (უფროსი ლეიტენანტი) | 1 | 1500 |
| ჯარის კაცი მექანიკოსი | 1 | — |
| მეტელეგრაფე ჯარის კაცი | 6 | — |
| მეთვალყურე ჯარის კაცი | 2 | — |
| გადამწერი ¹) | 1 | — |

3) ვადით მსახურნი ცხრა ჯარის კაცი ამ ნაწილისთვის არიან მოკლენილი მესანჯრეთა ათსულტიდან

III. სამხედრო აღრიცხვის 1-ლ ხარისხოვანი ნაწილი (სულ სამი⁴).

| | | |
|--|----|------|
| ნაწილის უფროსი (მაიორი) | 3 | 2200 |
| საქმის მწარმოებელი (გადამწერი ¹) | 6 | 1200 |
| მოსამსახურე და შიკრიკები ¹) | 12 | — |
| | 6 | — |

4) სამხედრო აღრიცხვის ნაწილი სამართო საერო-ბო გამგეობასა და ტფილისის ქალაქის თვითმართვლობაში შედიან. 1-ლ ხარისხოვანი სამხედრო ნაწილები ტფილისის ქალ. თვითმართვლობასა და გორასა და ქუთაისის სამართო საერო-ბო გამგეობასთან იმყოფებიან.

IV. სამხედრო აღრიცხვის მეორე ხარისხოვანი ნაწილი (სულ 8)⁵.

| | | |
|--|----|------|
| ნაწილის უფროსი (კაპიტანი) | 8 | 1800 |
| საქმის მწარმოებელი (გადამწერი ¹) | 8 | 1200 |
| მოსამსახურე და შიკრიკი ¹) | 24 | — |
| | 16 | — |

5) მეორე ხარისხოვანი სამხედრო ნაწილები — სოხუმისა, ზუგდიდისა, სენაკისა, ოზურგეთისა, შორაპნისა, ტფილისისა, ბორჯომისა და ხიდალდის საერო-ბო გამგეობასთან იმყოფებიან.

V. სამხედრო აღრიცხვის მე-3 ხარისხოვანი ნაწილი (სულ 7)⁶.

| | | |
|---------------------------|---|------|
| ნაწილის უფროსი (კაპიტანი) | 7 | 1800 |
|---------------------------|---|------|

6) მესამე ხარისხოვანი სამხედრო ნაწილები — ლენჯუხისა, რაჭისა, ახალციხისა, ახალქალაქისა, დუშეთისა, თიანეთისა და თეზმიდის საერო-ბო გამგეობასთან იმყოფებიან.

| | | | |
|--------------------------|----|-----|------|
| საქმის მწარმოებელი | 7 | --- | 1200 |
| გადამწერი¹). | 14 | --- | — |
| მოსამსახურე და შიკრიკი¹) | 14 | --- | — |

VI. სამხედრო საისტორიო არქივი.

| | | | |
|-----------------------------|---------|-----|------|
| არქივის უფროსი (პოლკოვნიკი) | 1 | --- | 2700 |
| არქივარიუსი: | უფროსი | 1 | 1800 |
| | უმცროსი | 2 | 1200 |
| არქივის ზედამხედველი | 1 | --- | 1500 |
| წიგნთსაცავის გამგე | 1 | --- | 1500 |
| გადამწერი¹). | 1 | --- | — |
